FGU

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი

შეხვდი მომავალს

FGU-ს მიზანი

ჩვენი ამბიციაა გავხდეთ განათლებისა და კულტურის რეგიონალური პლატფორმა, რომელიც გააერთიანებს ახალგაზრდებს საქართველოდან და მთელი რეგიონიდან

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის (FGU) მიზანია ფრანგულ-ქართული ორმაგი ხარისხის დიპლომის შექმნა საქართველოში, ქვეყნის ისეთ სტრატეგიულ სექტორებზე ორიენტირებით, როგორიცაა ტურიზმი, სასოფლო-სამეურნეო სფერო და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები.

რატომ FGU?

- ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი საშუალებას გაძლევთ აიღოთ ფრანგული დიპლომი ხელმისაწვდომ ფასად და ქვეყნიდან გაუსვლელად.

- ლექციებს უძღვებიან ფრანგი და ქართველი პროფესორები - საქართველოში.

- FGU-ს დასრულების შემდგომ, თითოეული სტუდენტი მიიღებს ორ დიპლომს: ერთს ქართული, ერთს კი - ფრანგული უნივერსიტეტისგან.

- FGU ფოკუსირებულია საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორებზე ისეთი პროფესიონალების მომზადების მიზნით, რომელთაც ექნებათ ქართულ შრომის ბაზარზე მეტად მოთხოვნადი ინტერკულტურული უნარ-ჩვევები.

- ფრანგულ -ქართული უნივერსიტეტი ასევე მოიცავს პროგრამებს, რომელიც ამარტივებს საფრანგეთში გამგზავრებასა და პროფესიული სტაჟირების გავლას ქართულ თუ უცხოურ პარტნიორ კომპანიებში.

პროგრამები

ტურიზმი

სამაგისტრო პროგრამა

ფრანგულ ქართული უნივერსიტეტი

université lumière lyon 2

- სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლუმიერ ლიონ 2-ის უნივერსიტეტის მიერ, ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში.

- აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ტურიზმის სფეროსთვის კადრების მომზადებას, რომელთა კვალიფიკაცია ორიენტირებული იქნება საქართველოს მდიდარი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის როლის ამაღლებაზე ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში.

- პროგრამის დასრულების შემდგომ, სტუდენტები მიიღებენ ორ დიპლომს - ერთს თსუ-სგან, მეორეს კი ლიონ 2-ის უნივერსიტეტისგან.

პროგრამები

კვების ტექნოლოგია

საბაკალავრო პროგრამა

ფრანგულ ქართული უნივერსიტეტი

UNIVERSITÉ DE RENNES 1

- პროგრამა "კვების ტექნოლოგია" ორიენტირებულია ისეთ ტექნოლოგიურ ასპექტებზე, როგორიცაა კვების პროდუქტების ბიოქიმია და მიკრობიოლოგია, ხარისხის კონტროლის მეთოდები, სურსათის უვნებლობა, ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რძის წარმოების ტექნოლოგიას.

- საქართველოში რძის მრეწველობის სწრაფი ზრდა იწვევს პროფესიონალი მუშაკების საჭირობას. ამგვარად, სტუდენტებს, რომლებიც გაივლიან აღნიშნულ პროგრამას, ექნებათ ფართო კარიერული არჩევანი რძის ინდუსტრიის სფეროში.

- სწავლის წარმატებით დასრულების შემდეგ, სტუდენტები მიიღებენ ორ დიპლომს: ერთ ბაკალავრის დიპლომს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან და ერთს – რენეს უნივერსიტეტისგან.

პროგრამები

FRENCH GEORGIAN UNIVERSITY

მეღვინეობა და მევენახეობა

სამაგისტრო პროგრამა

გაიხსნება მალე

კომპიუტერული მეცნიერებები

საბაკალავრო პროგრამა

გაიხსნება მალე

UNIVERSITÉ PARIS 8 VINCENNES-SAINT-DENIS

UNIVERSITAS TPHILISIENSIS 1918

Montpellier SupAgro

კონფერენციები

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი ფრანგულ და ქართულ პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთად ორგანიზებას უწევს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს. FGU-ს კონფერენციების მიზანია ფრანგულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავება და ფრანგული იდეების გაზიარებით საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში წვლილის შეტანა.

საერთაშორისო მობილობა

სადოქტორო სტიპენდია

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით, აცხადებს კონკურსს სამთვიანი სტიპენდიის მისაღებად დოქტორანტურის საფეხურის იმ ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში.

ეს სტიპენდია მიზნად ისახავს საფრანგეთში კვლევითი პერიოდის დაფინანსებას, საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფარგლებში.

Erasmus + სტიპენდიები

ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ფარგლებში შეიქმნა Erasmus + კონსორციუმი, რომელიც კოორდინირებულია უნივერსიტეტ რენე 1-ის მიერ. Erasmus + - მა ამ კონსორციუმს გადასცა 720 480 ევრო, 2019-2022 წლების პერიოდისთვის.

სტუდენტებს, რომლებიც ჩარიცხული არიან ერთ-ერთ პარტნიორ უნივერსიტეტში, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საფრანგეთსა და საქართველოს შორის Erasmus + საერთაშორისო მობილობაში.

პარტნიორი უნივერსიტეტების სია **იხილეთ აქ.**

Erasmus+
Enriching lives, opening minds.

პარტნიორები

ფრანგულ
ქართული
უნივერსიტეტი

დარჩით ჩვენთან!

WWW.FGU.GE

ხელმისაწვდომია ქართულად, ფრანგულად და ინგლისურად

კონტაქტი

დავიდ ტერტრი
ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის
კოორდინატორი
david.teurtrie@fgu.ge

ნესტან ტალახაძე
ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის
თანაშემწე-კომუნიკაციების მენეჯერი
nestan.talakhadze@fgu.ge

+ 995 511 164 012